ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1360072

ნომერი: AR1231276

თარიღი : 23.06.2014

გაცემის თარიღი : 01.07.2014

გაცნობის თარიღი : 04.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, შესახვევი აკაკი ბელიაშვილის 1;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა დგებუაძე პ/ნ 01011078856
- თბილისი ბ.ხმელნიცკის 2 #6

ორგანიზაცია:
- შპს ,,რეალ რეგისტრი" კოდი: 404395828

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ავტოტექმომსახურება

გარკვეული დოკუმენტაცია ხარვეზითაა წარმოდგენილი, კერძოდ:

06.04.2013 წლის ბრძანებით შ.პ.ს „თეკლა–2004“–ის დირექტორის დავით მხეიძის წარმომადგენელს ლელა დგებუაძეს

ნება დაერთო მოეპირკეთებინა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. შ.პ.ს ,,აისი-ს მიმდებარე ტერითორიაზე #01.13.01.004.065 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული საკადასტრო გეგმის მიხედვით 4/1 დან 23/1–ის ჩათვლით შენობა–ნაგებობები, რისთვისაც განესაზღვრა 8 თვის ვადა, ითხოვს მოპირკეთებისთვის ვადის გაგრძელებას ვადა არ არის დაკონკრეტებული. არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურატები, გაურკვეველია რა სიტუაციაა რიალურად ადგილზე. ამონაწერი და საკადასტრო შეცვლილია მარტის თვეში, ახალი საკადასტრო კოდი აქ მინიჭებული 01.13.01.004.127 და საკადასტროზე დატანილი შენობების კომფიგურაცია აღარ შეესაბამება არსებული სიტუაციის ანაზმონს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

დაევალოს მოქალაქე ლელა დგებუაძეს 10 (ათი) დღის ვადაში, შეასწოროს ზემოთ აღნიშნული ხარვეზები და წარმოადგინოს:

1. შესწორებული არქიტექტურული პროექტი არსებული და საპროექტო გეგმების ჭრილების და ფასადების ერთმანეთთან და არსებული მდგომარეობის ფოტოებთან შესაბამისობაში მოყვანით.
2. არსებული მდგომარეობის ფოტოები დღეის მდგომარეობით ფასადების მაქსიმალურად ასახვით. პროექტის მიხედვით ღერძის ხაზების დატანით
3. შესწორებული განმარტებითი ბარათი საკადასტრო გეგმის ცვლილების აუცილებელი გარემოებების და მიმდინარე სიტუაციის აღწერით.

აღწერილი ხარვეზები უნდა გამოსწორდეს და მიამაგროთ შესაბამის ველებში.

მითითებულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.